

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საკვლე ნაერთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა



ჯილიან რ. ევანსი

ფილოსოფია და თეოლოგია
შუა საუკუნეებში



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2014

ფილოსოფიური ბიბლიოთეკა

ISSN 1512-2042

სერიის რედაქტორი: **თამარ ცოფურაშვილი**

სერიის 4 წიგნი

PHILOSOPHY AND THEOLOGY IN THE MIDDLE AGES

Gillian R. Evans

ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეებში

ჯილიან რ. ევანსი

ინგლისურიდან თარგმნა დავით თინიკაშვილმა

რედაქტორი: **თეიმურაზ ბუაძე**

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: **თინათინ კვიციანი**

© 1993 G. R. Evans

All Rights Reserved

Authorised translation from the English language edition published by
Routledge, a member of the Taylor & Francis Group

ISBN 978-9941-18-207-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა	1
სამადლობელი სიტყვა	4
შემოკლებანი.....	5

ნაწილი პირველი

1. ფილოსოფია და თეოლოგია	9
ფილოსოფიის იდეა	9
თეოლოგიის იდეა და ინტერესთა კონფლიქტი	20
2. ფილოსოფიური წყაროები	31
სკოლები და სწავლულები	31
შუა საუკუნეების ფილოსოფიის კლასიკური წყაროები... ..	39
3. ცოდნა და ენა	59
თეოლოგია და ფილოსოფიური მეთოდი.....	59
ჭეშმარიტებამდე მიღწევა.....	71

ნაწილი მეორე

4. ღმერთი	81
ღმერთის არსებობის დამტკიცება	81
საღვთო ბუნების შესახებ მსჯელობა	88
სამება და ღვთაებრივი სიმართივე.....	96
5. კოსმოსი	106
სამყაროს შექმნა.....	106
სამყაროზე პასუხისმგებლობა.....	119
6. ადამიანი	142
სული	142
ადამიანის ხსნა.....	149
საკრამენტი.....	153
ეთიკა და პოლიტიკა.....	168

დასკვნა	183
შენიშვნები	190

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი შუა საუკუნეებში ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესწავლისას უფრო მეტად დასავლურ ტრადიციას ეძღვნება. ეს ნაწილობრივ განპირობებულია გეოგრაფიული მოსაზრებებით. აუცილებელია ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის განვითარებულ ურთიერთობაში მკაცრად მივყვეთ გამორჩევი თობის პრინციპს, თვით ამ გეოგრაფიულად შეზღუდული არეალის მხედველობაში მიღებისას. მაგრამ ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ დასავლეთზე კონცენტრირება, რადგან სწორედ აქ მოხდა ფილოსოფიური აზრის არსებითი განვითარება. რომის იმპერიის დაცემის შემდგომ, ბიზანტიურმა ქრისტიანობამ თავისი ფილოსოფიური ტრადიცია თეოლოგიური მეცნიერების ფარგლებში განავითარა. აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრადიციების ერთმანეთთან დაკავშირება კი რთული საქმე გახლდათ, რადგან VI საუკუნიდან მოყოლებული ძალზედ მცირე იყო იმ მეცნიერთა რიცხვი, ვინც ბერძნულ და ლათინურ ენებს ერთდროულად ფლობდა; 1054 წლის შემდგომ ბერძნული და ლათინური ეკლესიებიც დაშორდა ერთმანეთს, რაც ნიშნავდა ერთმანეთისგან გაუცხოებას. ქრისტიანული თეოლოგიის ბიზანტიურ მიმართულებას უფრო მეტად მისტიკაზე ჰქონდა აქცენტი. მას დასავლეთზე უფრო მეტად შეეძლო და დაეუფლა კიდევ გვიანდელ პლატონიზმს. მაგრამ, თავის მხრივ, დასავლეთიც საკმაოდ სარგებლობდა არისტოტელეს ფილოსოფიით. ამ ორმა თეოლოგიამ შეიძინა ნატიფად განსხვავებული ინტელექტუალური მიმართულება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ თეოლოგიას შორის თითქმის არ არსებობდა მკვეთრი დოქტრინალური სხვაობები (თუ არ ჩავთვლით სულიწმიდის გამომავლობის საკითხს და კიდევ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან თემას ექვარისტიაში საფუარიან თუ უსაფუარო პურის გამოყენების შესახებ, ან თუნდაც განსაწმენდელის იდეას). ფლორენციის კრებაზე (1438-45წწ.), როდესაც ორი ეკლესიის გაერთიანების სერიოზულ მცდელობას ჰქონდა ადგილი, თავი იჩინა საკმაოდ მძიმე რეალობამ – ისინი არამარტო სხვადასხვა ენებზე საუბრობდნენ, არამედ სხვადასხვაგვარად აზროვნებდნენ.

თუ ჩვენ ბერძნული აღმოსავლეთის მხოლოდ ზედაპირული (არასიღრმისეული) განხილვით დავკმაყოფილდებით, მაშინ შეგ-

ვეძლება თემების ფართო სპექტრის აღება, რომელთა მიმართაც ფილოსოფია თავის ინტერესს ჩვენს დროში უფრო გამოხატავს, ვიდრე ამას გვიან ანტიკურ სამყაროში ჰქონდა ადგილი. XII საუკუნეში ჰუგო სანქტ-ვიქტორელმა (1096-1141წწ.), რომელიც პარიზში კითხულობდა ლექციებს, განასხვავა თეოლოგიის ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება ღმერთის არსებობას და მის ბუნებას, მის ერთადერთობას, სამგვამოვნებას და სამყაროს შექმნას, – თეოლოგიის იმ მიმართულებებისგან, რომლებიც მათ შესახებ ცოდნას უშუალოდ წმინდა წერილის გამოცხადებიდან იღებენ. პირველი ნაწილი მოიცავს იმ აქტუალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ საკითხებს, რომლებიც არსებობდნენ გვიან ანტიკურ და ადრეულ-ქრისტიანულ სამყაროში – ანუ ის ყველაფერი, რაც VI საუკუნეში ბოეთიუსს „თეოლოგიად“ მიაჩნდა. ეს საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა ეპისტემოლოგიასა და შემდეგი არისტოტელური ცნებების შუასაუკუნეობრივ გაგებას, მეტად აქტუალური იყო ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში: „მიზანი“ და „საზრისი“, „ძალაუფლება“ და „ქცევა“, „საწყისი“ და „წყარო“. XIII საუკუნის შუა ხანებში და ასევე მის მიწურულს ჩვენ ვხედავთ უნივერსიტეტებში მოღვაწე თეოლოგებს და ფილოსოფოსებს, რომლებიც დაკავებულნი არიან შემდეგი საკითხების განხილვით: ადამიანის მიერ ღვთაებრივი არსის წვდომა, ღვთაებრივი სიმარტივე, ღმერთის გონებაში წინარემყოფი იდეები, ყოფიერება და არსი, სამყაროს მარადიულობა, მატერიის ბუნება, ელემენტები, ნეტარებები* და ისეთი პრაქტიკული საკითხი, როგორცაა გულის ემოციური ცხოვრება. ისინი ასევე ფილოსოფიური კატეგორიებისა და მეთოდების გამოყენებით მსჯელობდნენ ისეთ საკითხებზე, – ხშირად იმავე ნაშრომებში, – როგორცაა მადლი, ეკლესია, საიდუმლოებები და ა. შ. ეს მსჯელობები კი, ძირითადად, ეფუძნებოდა გვიან შუა საუკუნეებში დამუშავებულ თემებს, რომლებმაც შემდგომ რეფორმაციის პერიოდის დებატებშიც პოვეს ასახვა.

შუა საუკუნეებში, ქრისტიან და არაქრისტიან ავტორთაგან, არავის ისე ხშირად არ კითხულობდნენ, როგორც ავგუსტინეს. მან

* გამოთქმა The Beatitudes თეოლოგიურ მეცნიერებაში აღნიშნავს იმ ნეტარებების მცნებებს, რომლებიც ქრისტემ გამოთქვა „მათაზედა“ ქადაგებისას (რედ. შენიშვ.).

დიდი გავლენა მოახდინა დასავლელ მეცნიერთა აზროვნების ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ლათინურ კონტექსტში ცდილობდნენ იმ კონცეპტების გააზრებას, რომლებიც თავდაპირველად ბერძნულ აღმოსავლეთში შეიქმნა და განვითარდა. ასე რომ, ავგუსტინე ჩვენი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს. წიგნში მსჯელობას ვიწყებთ ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხით, რომლის შესახებაც ფიქრობდნენ სხვადასხვა შეხედულებების მქონე მოაზროვნენი შუა საუკუნეებში. შემდეგ მიმოვიხილავთ იმ კლასიკურ წყაროებს, რომლითაც შუა საუკუნეების მოაზროვნეს შეეძლო ესარგებლა, რადგან გვსურს ფილოსოფიის შესწავლა მის თეოლოგიურ იმპლიკაციებში. პირველი ნაწილი სრულდება ლოგიკის და ენის პრობლემების წარმოჩენით თავისი ეპისტემოლოგიური ფესვებით, რომელიც წარმოიშვა *trivium*-ის* გრამატიკის, ლოგიკის და რიტორიკის შესწავლით. აღნიშნული მიმართულებები იყო საფუძველი შუა საუკუნეების ყველა მოაზროვნისთვის და, შესაძლოა, სწორედ მათ საფუძველზე იქმნებოდა ყველაზე უფრო ღრმა ნაშრომები შუა საუკუნეებში. მეორე ნაწილში თემები, ძირითადად, *Summa*-ს მსგავს ფორმატშია გადმოცემული, სხვა სიტყვებით, თეოლოგიის სისტემატური ენციკლოპედიის სახე აქვს, რომელიც XII საუკუნიდან ვითარდება, როგორც სახელმძღვანელოს ტიპი. მასალის ამგვარი ორგანიზების მიზანია თანამედროვე მკითხველისთვის აზროვნების შუა საუკუნეობრივი სამყაროს გაცნობა დაახლოებით იმგვარად, როგორც ამას ეცნობოდა შუა საუკუნეებში მცხოვრები ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა.

* ანტიკურ ეპოქაში ლიბერალურ მეცნიერებებად (*liberal arts*), რომელიც ასევე *trivium*-ად იწოდებოდა, მოიხსენიებოდა გრამატიკა, ლოგიკა და რიტორიკა. შუა საუკუნეებში, როდესაც სწავლა-განათლება ეკლესიის მზრუნველობის არეალში მოექცა, *trivium*-ად წოდებულ ამ საგნებს დაემატა არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია (რომელიც ასტროლოგიასაც მოიცავდა). ამ გაფართოებულ ნაკრებს კი ეწოდა *quadrivium*. ამრიგად, შუა საუკუნეების უნივერსიტეტის კურიკულუმი ამ შვიდი დისციპლინისგან (*liberal arts*) შედგებოდა (მთარგმნ. შენიშვნა).

სამადლობელი სიტყვა

ეს წიგნი თავიდან დაიწერა, როგორც მეორე ტომი გერმანულენოვანი სერიისთვის. მე მაღლიერი ვარ პროფესორ ქრისტოფერ სთედისა და პროფესორ ა. რიტერის, რომლებმაც მიჩიეს ამ წიგნის დაწერა. ასევე მადლობას ვუხდის მის გამომცემლებს. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს წიგნი ასევე შეავსებდა ამ თემაზე შექმნილი სახელმძღვანელოების დანაკლისს ინგლისურენოვან ლიტერატურაში და, მცირე ცვლილებებით, გამოვეცით ასევე იმ ენაზე, რომელზეც ის თავდაპირველად დაიწერა.

შემოკლებანი

- AHDLMA – Archives d’histoire doctrinale et littéraire du moyen âge
CCCM – Corpus Christianorum Continuatio Medievalis
CHLGEMP – Cambridge History of Later Greek and Early Mediaeval Philosophy, ed. A. H. Armstrong (Cambridge, 1970)
CHLMP – Cambridge History of Later Mediaeval Philosophy, ed. N.Kretzmann, A. Kenny and A. Pinborg (Cambridge, 1982)
C. Jul. – Augustine, Against Julian
CSEL – Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum
De Civ. Dei – Augustine, The City of God
De Doct. Chr. – Augustine On Christian Doctrine
De Trinitate – Augustine On the Trinity
De Vera Religione – On True Religion
GP – Gilbert of Poitiers, Commentaries on Boethius, ed. N.M. Häring (Toronto, 1966)
Huygens – T. Huygens, Accessus ad Auctores (Leiden, 1970)
‘I divieti’ – M. Grabmann, ‘I divieti ecclesiastici di AristotelesottoInnocenzio III e Gregorio IX’, MiscellaneaHistoriae Pontificiae, 7 (Rome, 1941)
K – Grammatici Latini, ed. H. Keil (8 vols, Leipzig, 1855-80)
Lafleur – C. Lafleur, ed., Quatre introductions à la philosophie auxiiiè siècle (Montreal/Paris, 1988)
Lottin – O. Lottin, Psychologie et morale aux xiè et xiiiè siècles, V (Gembloux, 1959)
PG – Patrologia Graeca
PL – Patrologia Latina
S – Anselm of Canterbury, Opera Omnia, ed. F. S. Schmitt (Rome/Edinburgh, 1938–69)
TC – Thierry of Chartres, Commentaries on Boethius, ed. N.M. Häring (Toronto, 1971)

ნაწილი პირველი

1. ფილოსოფია და თეოლოგია

ფილოსოფიის იდეა

V საუკუნეში ქრისტიანები „ფილოსოფიაში“ არ გულისხმობდნენ იგივეს, რასაც ათასი წლის შემდგომ. შუა საუკუნეების მკითხველს საქმე ჰქონდა ტექსტების იმ ნაკრებთან, რომელიც ავგუსტინეს დროს კლასიკურ ნაშრომებად მიიჩნეოდა. მაგრამ ეს მკითხველები უკვე აღარ ცხოვრობდნენ იმ დროში, როდესაც ფილოსოფოსობა პრაქტიკული ალტერნატივა იყო ქრისტიანად ყოფნისა, როცა შესაძლებელი იყო იმ ადამიანთან შეხვედრა, ვინც ამგვარი არჩევანი გააკეთა. შუა საუკუნეებში ფილოსოფია აკადემიური შესწავლის საგანი იყო და ის შემოიფარგლებოდა იმ თემებით, რომელთა შესახებაც ძველი სახელმძღვანელოები გადმოსცემდნენ თავის სწავლებას. ეს იყო ცოცხალი და მზარდი დისციპლინა, თუმცა განსხვავებული გზით განვითარებადი, ვიდრე ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როდესაც კონკურენტი სკოლები და მიმდინარეობები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, როდესაც პლატონის, არისტოტელესა და სტოიკოსთა იდეების ახლებური გააზრებების მცდელობებს ჰქონდა ადგილი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შუა საუკუნეებში არ იქმნებოდა მნიშვნელოვანი ახალი ნაშრომები ფილოსოფიაში. მაგრამ ამას ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით ცოდნის გაზრდის არათანმიმდევრული ხასიათი უფრო ჰქონდა, ვიდრე ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის ახალი სისტემების შექმნისა.

ფილოსოფიურ სისტემებს, რომლებიც ავგუსტინესთვის იყო ცნობილი, არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ პრაქტიკულ-მორალური ხასიათიც ჰქონდა. მათი მიზანი იყო ბედნიერებამდე ადამიანის მიყვანა სათნოებების მეშვეობით (არისტოტელური „ტელოსი“ იყო მიზანი, ბედნიერება. სტოიკოსებს სათნოება ესმოდათ, როგორც თავისთავადი მიზანი და საბოლოო წერტილი). ავგუსტინეს წაკითხული ჰქონდა ამჟამად დაკარგული ვაროს (Varro) წიგნი 288 შესაძლო ფილოსოფიის შესახებ (*De civ. dei* XIX.i.2). მისი აზრით, ყველა ამ ფილოსოფიამ კაცობრიობას დაუსახა *beata vita*

(ლათ. „ნეტარი ცხოვრება“) როგორც მიზანი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით უნდა იქნეს მიღწეული. თავად ავგუსტინეს, ქრისტიანად მოქცევიდან პირველი თვეების განმავლობაში, სულაც არ მიაჩნდა შეუსაბამოდ თბულების წერა შემდეგი სახელწოდებით *De Beata vita*. ის თავისუფლად იყენებდა იმ იდეებს სხვადასხვა ფილოსოფოსთა ნააზრევიდან, რომლებიც ქრისტიანულ რწმენასთან იყო შესაბამისობაში და მის განმტკიცებას ემსახურებოდა. ფილოსოფიურად მოაზროვნე ქრისტიანთათვის უჩვეულო არ იყო ღმერთის შესახებ ფილოსოფიური კონცეფციის გამოყენება. მასში (ამ კონცეფციაში) ღმერთი დანახულია საუკეთესო თვისებების (სიკეთე, სიმშვენიერე, სამართლიანობა, სიწმინდე) მატარებელ არსებად, რომელიც თავის თავში ყველაფერს მოიცავს. ამრიგად, ასეთი უზენაესი არსების ქრისტიანულ ღმერთად იდენტიფიცირება არ წარმოადგენდა არავითარ სირთულეს და არც რაიმე შეურაცხმყოფელს ქრისტიანული შეგნებისთვის. ეს სინკრეტიზმიც არ იყო. შესაძლებელი იყო მარტივად, მაგალითად, ბუნებითი გონების (natural reason) პლატონისეული კონცეფციით ღმერთის ნაწილობრივი შემეცნება; ამას პავლე მოციქულიც მიუთითებს, როცა იგი ღმერთის არაპირდაპირ ანუ ქმნილი სამყაროს მეშვეობით შემეცნებაზე საუბრობს (რომ. 1:19-20). თუკი ფილოსოფოსები აცხადებდნენ, რომ ნეტარი ცხოვრება მიიღწევა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც საკუთარ დაცემულ ბუნებაზე რაც შეიძლება მაღლა დადგომას ცდილობენ და ყოველივეში ღმერთს ბაძავენ მშვიდი, უშფოთველი ცხოვრებით, რაც ამქვეყნიური სიამეებისადმი და ვნებებისადმი ზურგის შექცევას ნიშნავს, განა შეიძლებოდა ქრისტიანს რამე საწინააღმდეგო ჰქონოდა ამგვარი თვალთახედვისადმი? ქრისტიანები მხოლოდ ამ იდეების გაღრმავება-განვითარებას მოისურვებდნენ და ფილოსოფიურ სისტემაშიც იგივე გზას დასახავდნენ. იმ ფილოსოფოსებისთვის, რომლებიც სულის უკვდავებას აღიარებდნენ, ბედნიერი ცხოვრება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამქვეყნიური არსებობით, მისი რეალიზება ამ ცხოვრების შემდგომაც იყო შესაძლებელი. ასე რომ, ქრისტიანები და ფილოსოფოსები არ საუბრობდნენ სხვადასხვა ენაზე (თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც არსებობდა). გარკვეული აზრით, ქრისტიანობა თავად წარმოადგენდა ფილოსოფიას.

გადავიდეთ ბოეთიუსთან (480-524წწ.), რათა ვისაუბროთ ფილოსოფიაზე, როგორც ცხოვრების სახელმძღვანელოზე, თუნდაც დასავლური გაგებით.¹ ბოეთიუსის ნაშრომი „ფილოსოფიით ნუგეში“ (*De consolazione philosophiae*) გამოწვევად რჩებოდა ქრისტიანი მოაზროვნეებისათვის, რადგან მისი ავტორი ქრისტიანად წარმოჩინდებოდა, როდესაც ის თეოლოგიურ ტრაქტატებს წერდა, უწევდა რა ფილოსოფიისკენ მიბრუნება პოლიტიკური ზეწოლისა და სიცოცხლის მოახლოებული დასასრულისაგან ნაშობი სასოწარკვეთილების გამო. მის დიალოგში „ფილოსოფიასთან“, რომელიც მხოლოდ გარკვეული ძალდატანებითი ცვლილებების შემდეგ შეიძლება გაიგივებული იქნეს სიბრძნესთან (სოფიასთან), ძველი აღთქმის წმინდა სიბრძნესთან ან ახალი აღთქმის ქრისტიანთან,² ბოეთიუსთან პირველად არის დანახული ღირსეული, დიადი მიზნისა და განგებულების ძალისადმი რწმენის საჭიროება, თუნდაც იმიტომ რომ მისი ცხოვრება სწრაფად ცვალებადი (არაპროგნოზირებადი) ფორტუნას ხელში იყო. იგი მსჯელობს ადამიანის ბედ-იღბლის შესაძლო გამოვლინებებზე და განიხილავს ღმერთის წინასწარცოდნის ადამიანის თავისუფლებასთან მიმართების საკითხს. ამრიგად, ამ საკითხების შესახებ ბოეთიუსის მსჯელობებში ვერაფერს აღმოვაჩინთ ისეთს, რომელიც შეუთავსებელი აღმოჩნდება მოსაზრებასთან, რომლის მიხედვითაც ეს ფილოსოფოსი ქრისტიანი მოაზროვნე იყო. მაგრამ სწორედ „ფილოსოფია“ მისი ხელმძღვანელი და მეგზური, რომელიც მას ნუგეშს ანიჭებს და რომელიც დაკავშირებულია მოთმინებასა და იმ მოვლენათა მწყობრი თანამიმდევრობის ინტელექტუალურ წვდომასთან, რომლებიც მანამდე კატასტროფების შემთხვევით და ქაოტურ წყებად მოჩანდა.

ბოეთიუსის ნაშრომს – „ფილოსოფიით ნუგეში“ კითხულობდნენ და განმარტავდნენ კაროლინგი ავტორები, მათ შორის რემიგიუს აუქსერელიც (Remigius of Auxerre დაახლ. 841-908წწ.), რომელიც ეძებდა და პოულობდა იმ ფილოსოფიას, რისი პოვნაც შეიძლებოდა ძველ ტექსტებში. „ფილოსოფიით ნუგეში“ რამდენიმე დიალექტზე ითარგმნა ერთდროულად. მაგრამ თუ სიმართლეს ვიტყვით, უკვე აღარ იყო შესაძლებელი იმგვარი ფილოსოფოსის აღმოჩენა, როგორც ეს ავგუსტინეს ან ბოეთიუსის დროს იყო შესაძლებელი. ბედეს (Bede/Venerable Bede დაახლ. 673-735წწ.) შემდეგ დასავ-